საქართველო
ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

0800 ქალაქი ახალციხე, შალვა ახალციხელის ქ..№2 Shalva Akhaltsikheli str.#2 Akhaltsikhe 0800

N 419
10/12/2018

419-06-2-201812101425

სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს'' თავმჯდომარეს

ბატონ ნიკა ახალბედაშვილს

ბატონო ნიკა,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად გიგზავნით, გამოქვეყნებისათვის, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ანგარიშს-ინფორმაციას 2018 წლის 01 იანვრიდან დღემდე ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ.

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში აღნიშნული პერიოდისათვის სულ შემოსულია 14 (თოთხმეტი) მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით საკრებულოს მომართა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მასმედიის წარმომედგენლებმა, მოქალაქეებმა. ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებულია კანონით გათვალისწინებულ ვადაში.

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში:

1. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და მოთხოვნაზე უარის თქმის გადაწყვეტილება არ მიღებულა, საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით მომართვა არ შემოსულა;

2. აღნიშნული პერიოდისათვის სულ შემოსულია 14 (თოთხმეტი) მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით. ყველა მომართვა დაკმაყოფილდა კანონით გათვალისწინებულ ვადაში. ასევე გაცნობებთ, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის პროცესში, ბიუჯეტის პროექტი მისივე მოთხოვნით, გადაეგზავნა ელ.ფოსტაზე ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ (გორის ფილიალი);

3. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა დახურულად არ გამოცხადებულა;

4. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საჯარო მონაცემთა ბაზებისა და პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და გადაცემის მოთხოვნით მომართა შემდეგმა ორგანიზაციებმა:

- ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო'' - ,,საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია'',

- ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო'',

- ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)",

- სამცხე-ჯავახეთის საინფორმაციო პორტალი ,,სამხრეთის კარიბჭე'',

- ა/ო ,,დემოკრატ მესხთა კავშირი'';

5. საანგარიშო პერიოდში ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა მხრიდან არ მომხდარა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევა;

6. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და საჯარო ინფორმაციის /ნაწილობრივი/ გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებისას, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ/ თავმჯდომარე გელა ნოზაძე/ იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე- 10 მუხლის პირველი ნაწილით, 27[1]-ე მუხლით, 28-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 44-ე მუხლით, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუქტის ,,ა"ქვეპუნქტით;

7. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა.

პატივისცემით,

ნოზაძე გელა

საკრებულოს თავმჯდომარე
ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო